<u>პროექტი</u>

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №

2026 წლის _____ სექტემბერი, ქალაქი ბათუმი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებაში (გამოქვეყნების წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი: 01/09/2014წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.132.016215) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულებიდან ამოღებული იქნეს მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 ოქტომბრიდან.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ივანე მაისურაძე**

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) ანორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი, მისი დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები და პროექტის მიღებით გამოწვეული შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 106^2 მუხლის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 21 აგვისტოს №40 დადგენილების მიღება, რომლითაც დაფუძნდა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახური და დამტკიცდა დებულება. აღნიშნული დებულების თანახმად, სსიპ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახური განახორციელებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულის - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის უფლებამოსილებებს, შესაბამისად, ამ მომენტიდან მშენებლობის ნებართვის სფეროში ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური აღარ განიხილავს განცხადებებს, რაც ამავე სამსახურის - როგორც სტრუქტურული ერთეულის გაუქმების საფუძველია. შესაბამისად საჭიროა „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება და დებულებიდან ამოღებული იქნეს დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

პროექტის მიზანია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისა და ურბანული განვითარების სამსახურის დაფუძნებიდან გამომდინარე, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიულ აქტებში საჭირო ცვლილებების განხორციელება, კერძოდ, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 29 აგვისტოს №19 დადგენილებაში ცვლილების შეტანა და დებულებიდან დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის ამოღება, რის შედეგადაც გაუქმდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური.

პროექტის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დამატებითი ფინანსური რესურსის გამოყოფის აუცილებლობას.

პროექტის განხორციელება არ მოახდენს გავლენას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე, ხოლო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი სამსახურის გაუქმების შედეგად შემცირდება გაუქმებული სტრუქტურული ერთეულისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ხარჯების ოდენობით.

ა.ბ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს

ა.გ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

პროექტის მიღებით ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე უარყოფითი ზეგავლენა მოსალოდნელი არ არის.

ბ) პროექტი სხვა ნორმატიულ აქტში იმ ცვლილების შეტანის შესახებ, რომელსაც გამოიწვევს:

იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე პროექტის მიხედვით უქმდება ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეული - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახური, მომზადებულია და საკრებულოზე განსახილველად წარდგენილია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი: ა) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №20 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“; ბ) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირების და პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგოების და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე; გ) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობისათვის არქიტექტურული პროექტისა და სანებართვო დოკუმენტაციის ან მისი

ნაწილის ელექტრონული ფორმით წარდგენისა და აღნიშნულთან დაკავშირებული ელექტრონული საქმისწარმოების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“; დ) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 ოქტომბრის №31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

გ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სახელმწიფო ორგანოს დასკვნა წარდგენილი პროექტის საქართველოს კონსტიტუციასა და უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის შესახებ:

საქართველოს ორგანული კანონების „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ნორმატიული აქტების შესახებ“, აგრეთვე „იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც არ საჭიროებენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამართლებრივ დასკვნას“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2011 წლის 21 ნოემბრის №149 ბრძანების თანახმად, პროექტი არ საჭიროებს სახელმწიფო ორგანოს წინასწარ დასკვნას.

დ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ნორმატიული აქტის ზეგავლენის შეფასება:

ასეთი არ არსებობს

ე) პროექტის ინიციატორი და წარმდგენია:

პროექტის ინიციატორია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი;

პროექტის ავტორი და წარმდგენია ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაცია.

განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
ადმინისტრაციის უფროსი **მარიამ ხაზარაძე**